



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 42
24/04/2019

42-06-4-201904241138



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა მიმართ სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ო“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 58-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს არასამუშაო და ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში სამუშაოს შესრულების გამო, მიეცეთ 2019 წლის აპრილის თვის შრომის ანაზღაურებაზე სახელფასო დანამატი თანამდებობრივი სარგოს 100 % ოდენობით:

- ა) ნანა თავდუმაძეს - საკრებულოს აპარატის უფროსს;
- ბ) ნათელა ლომჯარიას - საორგანიზაციო განყოფილების უფროსს;
- გ) ავთანდილ გოლიაძეს - სამდივნო განყოფილების უფროსს;
- დ) ცირა მდინარაძე - მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს იურიდიულ საკითხებში;
- ე) ნინო ერქომაიშვილს - მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საკითხებში;
- ვ) ნინო აბაშიძეს - მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებში;
- ზ) ქეთევან ჭელიძეს - მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში;
- თ) ნანა სიხარულიძეს - პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს;
- ი) ტარიელ ჩხარტიშვილს - პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;
- კ) ზაზა თავაძეს - მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტს ვებგვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის საკითხებში;

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

